

აფხაზთა სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრის ლოკალიზაციისათვის

თამთა მოდებაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

შუა საუკუნეების კვლევები (ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია,
ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბუხრაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის
დეკანს ბატონ გიორგი გვალას
ამავე ფაკულტეტის შუა საუკუნეების კვლევების
მაგისტრანტის თამთა მოდებაძის

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა მოდებაძე

2017

აბსტარქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი - „აფხაზთა სამეფოს აღმოსავლეთის საზღვრების ლოკალიზებისთვის“ ეძღვნება აფხაზთა სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრის მიახლოებით დადგენას ეპიგრაფიკულ წყაროებზე დაყრდნობით.

აფხაზთა სამეფოს აღმოსავლეთით, მთელ სიგრძეზე - შიდა ქართლში, იმერეთსა და ჯავახეთში შემორჩენილია ეპიგრაფიკული წარწერები, რომელიც ადასტურებს, რომ აფხაზთა სამეფოს საზღვრები ამ ტერიტორიებამდე აღწევდა.

ნაშრომში განხილულია სწორედ ის სამი ტაძარი, რომელთა კედლებზე შემორჩენილი წარწერებისა თუ ტაძრის დაარსების ისტორიაზე დაყრდნობით შესაძლებელია აფხაზთა სამეფოს აღმოსავლეთ საზღვრის დადგენა.

პირველი ტაძარი, რომელსაც განვიხილავთ, არის შიდა ქართლში, სოფელ ერედვში მდებარე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ერედვის ეკლესიაში არის ეპიგრაფიკული წარწერა, სადაც მოხსენიებულია აფხაზთა მეფე კონსტანტინე III, რაც ადასტურებს სოფელ ერედვის აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში ყოფნას.

ნაშრომში განხილული მეორე ტაძარი, არის იმერეთში, სოფელ უბისაში მდებარე უბისის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ეს ეკლესია აფხაზთა მეფის, - დემეტრე II-ის თაოსნობითაა აგებული. გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხვრებაში“ აღწერილი ტაძრის მშენებლობის ისტორია შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აფხაზთა სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარი აღწევდა სოფელ უბისამდე.

მესამე ტაძარი, რომელსაც ნაშრომში განვიხილავთ, არის ჯავახეთში მდებარე კუმურდოს კათედრალური ეკლესია, რომლის სამხრეთ კედელზე შემორჩენილი წარწერა ხოტბას ასხამს აფხაზთა მეფე ლეონ III-ს.

აფხაზთა სამეფოს ტერიტორიის დასადგენად ძალიან მნიშვნელოვანია მისი აღმოსავლეთ საზღვრის დადგენა. საზღვრის განსაზღვრისას ნათელი ხდება, რომ ეს სამეფო იყო ქართულ მიწაზე წარმოშობილი ქართული სამეფო.

abstract

This thesis – “For Localization of the Eastern Borders of the Kingdom of the Abkhazians” is devoted to the approximation of the eastern border of the Abkhazian kingdom based on epigraphical sources.

In the east of the Abkhazian kingdom, throughout the length of the Shida Kartli, Imereti and Javakheti epigraphic inscriptions prove that the borders of the Abkhazian kingdom have reached these territories.

It is considered in the work that the eastern border of the Abkhazian kingdom can be determined by the three temples, - based on their history or the inscriptions that are found on their walls.

The first church, which we discuss is the St. George church in the village of Eredvi, in Shida Kartli. On the wall of The Eredvi Church is an epigraphic inscription indicating the King of Abkhazian Constantine III. This fact confirms the presence of the village of Eredvi Abkhazian kingdom.

The second temple discussed in the work is St. George's Church of Ubisa located in the village of Ubisa in Imereti. This church is built under the rule of the King of Abkhazians, Demetre II. History of the construction of the church described by Giorgi Merchule in "Grigol Khandzteli's life" gives us an opportunity to conclude that the eastern border of the Abkhazian kingdom had reached the village of Ubisa.

The third temple, which we consider in the work, is a Cumurdo, cathedral church in Javakheti, whose inscription on the southern wall is the song of King Leon III of the Abkhazians.

To determine the territory of the Abkhazian kingdom is very important to determine its eastern border. In determining the boundary it becomes clear that this kingdom was the Georgian kingdom originating on Georgian land.